ასოცირების შეთანხმება, ენერგეტიკული გაერთიანება და ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობა

<u>გარემოების აღწერა</u>

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გულისხმობს საქართველოს მიერ ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტის დანერგვას, რაც მოიცავს ელექტრობის, ბუნებრივი გაზის და ნავთობის, ასევე - ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის, გარემოს დაცვის, კონკურენციის და სხვა დირექტივებს და რეგულაციებს. ამ დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობაში გადმოწერა/ადაპტაცია ქართული ენერგეტიკულ სექტორის მოწყობას მსოფლიო საუკეთესო სტანდარტზე აიყვანს, გაზრდის ინვესტიციების ალბათობას და შესაძლებელს გახდის ევროპასთან ენერგეტიკული თანამშრომლობის, მათ შორის - ვაჭრობის გაღრმავებას.

რატომ არის მნიშვნელოვანი ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა საქართველოში?

ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის (დირექტივების პაკეტის) ძირითადი პრინციპებია: კონკურენტული ბაზრის შექმნა, დამოუკიდებელი-არაპოლიტიკური რეგულირების დაწესება, ბუნებრივად მონოპოლიურ და კონკურენტულ საქმიანობათა ერთმანეთისგან განცალკევება, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის განვითარება, ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება და გარემოს დაცვა.

ყველა ამ მიმართულებით საქართველოში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გვაქვს, რაც ენერგეტიკას დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას არ აძლევს. სახელმწიფო სუბსიდირების და სამომავლო ვალდებულებების და მოჭარბებული საფრთხეების ხარჯზე ვითარდება.

მართლაც: კანონმდებლობა უხარისხო და ბუნდოვანია; ძალაუფლების სამინისტროში კონცენტრირების გამო სემეკის ფუნქციები და კომპეტენცია შეზღუდულია, ხოლო გაუმჭვირვალე მართვის პრაქტიკა გარე ზემოქმედების, შეცდომების მაღალ რისკებს შეიცავს. სოკართან, რუსეთის Inter RAO-თან და ახალი ჰიდროელექტროსადგურების დეველოპერებთან დადებული ხელშეკრულებები (მემორანდუმები) ეწინააღმდეგება საბაზრო კონკურენციის და გამჭვირვალობის პრინციპებს;

უხარისხო და განუვითარებელი კანონმდებლობა და გაუმჭვირვალე მართვა იწვევს მრავალ სხვა პრობლემას:

- არ შემოდის სტრატეგიული ინვესტიციები და სადგურების მშენებლობა ხდება ძირითადად „ინვესტორებისათვის“ დაუსაბუთებელი დათმობების და

სახელმწიფო გარანტიების ხარჯზე (*სამუდამო მფლობელობა, ელექტროენერგიის შესყიდვის გარანტიები, ჯარიმების არდაკისრება და სხვ.).*

- გამჭვირვალე და კონკურენტული ბაზრის არქონის გამო კომერციული მომხმარებლები ექცევიან გამანაწილებელ/მიმწოდებელი კომპანიების გავლენის ქვეშ, რომელთაც თავიანთი შეხედულებით შეუძლიათ დაუწესონ ბუნებრივი გაზის საფასური *(„დერეგულირება“ გაზის სექტორში, რითაც კომერციულ მომხმარებლებს, გაზის გამანაწილებლები ფასს თავისი შეხედულებით უწესებენ).*
- ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობის მემორანდუმები სრულიად განსხვავებული პირობებით იდება ერთიანი პრინციპის და გარემოზე ზემოქმედების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე, რაც საზოგადოების უნდობლობას და პროტესტს იწვევს;
- არ არსებობს ენერგეტიკის სტრატეგიული ხედვა და დაგეგმვა. გაუმჭვირვალე მართვის მიმართ უნდობლობის გამოხატულებაა საზოგადოების უნდობლობა გაზპრომთან გამართული მოლაპარაკებების მიმართ.
- სათანადოდ არ ვითარდება ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგიის წყაროები და ახალი ენერგეტიკული ტექნოლოგიები. საქართველოს მშპ-ს ენერგოტევადობა რამდენჯერმე აღემატება ევროპული ქვეყნებისას, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ენერგიის მოხმარება რამდენჯერმე ჩამორჩება მათ ანალოგიურ მაჩვენებელს.
- იზრდება იმპორტზე დამოკიდებულება და სახელმწიფოს ენერგეტიკული ხარჯები.

ამ პრობლემებმა შეიძლება ენერგეტიკა კრიტიკულ ზღვარამდე მიივიყვანოს.

ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა შექმნის მოწესრიგებულ და სტაბილურ საინვესტიციო გარემოს, გააუმჯობესებს სექტორის სტრუქტურას აამაღლებს პროფესიული და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს.

რას გულისხმობს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ფორმატი და რატომ არის ის ხელსაყრელი?

ენერგეტიკული რეფორმირები უნდა განხორციელდეს საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ფორმატში. გაწევრიანების მოლაპარაკებები, რომელიც ორ წელზე მეტხანს გრძედებოდა, დასრულებულია. საქართველოს მთავრობის ინფომაციით, ოქტომბერში, ენერგეტიკული გაერთიანების მინისტერიალზე, მოხდება საქართველოს ნამდვილ წევრად მიღება.

ენერგეტიკული გაერთიანება შეიქმნა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის ენერგეტიკულ რეფორმებში დასახმარებლად. მისი წევრები, ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად, არიან უკრაინა და მოლდოვა, რომლებმაც უკვე დაიწყეს ენერგეტიკული რეფორმები. ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა უზრუნველყოფს რეფორმების პროცესში ევროკავშირის ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას და განაპირობებს ინვესტორთა მეტ ნდობას, ეს ასევე გულისხმობს პოლიტიკური და ენერგეტიკული სოლიდარობის ბერკეტებს ენერგეტიკულ საგანგებო მდგომარეობებში ურთიერთდახმარების და ვაჭრობის სახით; ენერგეტიკული გაერთიანების ფომრატი ასევე გვაძლევს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამონაკლისების (დეროგაციების)

შენარჩუნების შესაძლებლობას. *კონკრეტულად საქართველოსთვის ერთერთი ასეთი გამონაკლისია გაზის მაგისტრალური მილსადენებით ტრანზიტის დღეს არსებული, მომგებიანი პირობების შენარჩუნება.*

ენერგეტიკულ გაერთიანებაში 2016 წლის ოქტემბერში მოსალოდნელი გაწევრიანების შემდეგ, აუცილებელია გაერთიანების ხელშეკრულების სწრაფად რატიფიცირება და სასწრაფო, თანმიმდევრული და გეგმაზომიერი ქმედებები სექტორის რეფორმირებისათვის.